ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის Erasmus+ გაცვლითი პროგრამა
ვარშავის ეკონომიკურ სკოლაში, პოლონეთი

2016 წლის შემოდგომის სემესტრისთვის

საბუთების წარდგენის ბოლო ვადა: 10 აპრილი, 2016

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისთვის ვარშავის ეკონომიკურ სკოლაში, პოლონეთი.

კონკურსი ცხადდება შემდეგ მობილობებზე:

აკადემიური საფეხური	სტიპენდიატების რაოდენობა	მობილობის ხანგრძლივობა	აკადემიური მიმართულება[1]
მაგისტრატურა	2 სტუდენტი	5 თვე	Business administration
ადმინისტრაციული პერსონალი	1 თანამშრომელი	5 დღე	ნებისმიერი მიმართულება

მობილობის ვადები:

- სტუდენტების მობილობა უნდა განხორციელდეს 2016/17 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში
- პერსონალის მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს 2016 წლის განმავლობაში. მობილობის ზუსტი ვადები შეთანხმებულ უნდა იქნას მასპინძელ უნივერსიტეტთან.

სტიპენდიის რაოდენობა:

- სტუდენტებისთვის - თვეში 750 ევრო
- პერსონალისთვის - დღეში 140 ევრო

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები:

- სტუდენტები კონკურსის მიმდინარეობისას უნდა ირიცხებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამის საფეხურზე.
- პერსონალი კონკურსის მიმდინარეობისას უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შტატიანი ან ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომელი.

[1] აკადემიური მიმართულებებისა და კოდების განმარტებისთვის იხილეთ:
http://www.uis.unesco.org/Education/Documents/isced-fields-of-education-training-2013.pdf

კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:

- *დამამთავრებელი კურსის მაგისტრანტებს*
- *მაგისტრანტებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ Erasmus Mundus გრანტი ანალოგიურ საფეხურზე*

სააპლიკაციო დოკუმენტები:

საბუთები უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე

	მაგისტრატურა	პერსონალი
პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი	√	√
შევსებული სააპლიკაციო ფორმა[2]	√	√
EUROPASS CV	√	√
მოტივაციის წერილი	√	√
ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა[3]	√	√
ნიშნების ფურცელი	√	
2 სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე)	√	
ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში)	√	
ბოლოს მიღებული უმაღლესი განათლების საფეხურის დიპლომი დანართითურთ	√	
ადმინისტრაციული საქმიანობის გეგმა		√
მხარდაჭერის წერილი მიმღები უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულისგან[4]		√

განაცხადების მიღება:

სააპლიკაციო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2016 წლის 10 აპრილი.**

სააპლიკაციო დოკუმენტები (.pdf ფორმატით) მიიღება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: erasmusplus@iliauni.edu.ge. კანდიდატებმა ელ-ფოსტის სათაურში უნდა მიუთითონ: **განაცხადი - ვარშავის ეკონომიკური სკოლა.**

[2] სტუდენტის სააპლიკაციო ფორმა / პერსონალის სააპლიკაციო ფორმა

[3] სტუდენტებისთვის მოითხოვება B2 დონე, პერსონალისთვის - B2. TOEFL ან IELTS ცნობა სავალდებულო არ არის, თუმცა სერტიფიკატის მქონე კანდიდატს შესაძლოა, მიენიჭოს უპირატესობა. თუ კანდიდატს მიღებული აქვს წინა განათლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, სერტიფიკატი/ცნობა აღარ მოითხოვება.

[4] სავალდებულო არ არის. არ მოითხოვება ოფიციალური დოკუმენტი, საკმარისია ელ-ფოსტით მიღებული თანხმობა.

მნიშვნელოვანია!

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

1) *განიხილება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები. დაუშვებელია კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტების ეტაპობრივად გამოგზავნა. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება განხილვის პროცედურიდან;*
2) *სასწავლო ხელშეკრულების განხილვას ჭირდება 3-5 სამუშაო დღე.*

შერჩევის პროცედურა:

1. სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. გასაუბრება კომისიასთან[5] - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
   კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან, რომელთაგან ერთი ან ფაკულტეტის წარმომადგენელია ან სტუდენტი
3. კანდიდატთა ნომინირება სტიპენდიაზე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. საბოლოო შერჩევა - ვარშავის ეკონომიკური სკოლა

დამატებითი ინფორმაცია ვარშავის ეკონომიკური სკოლის მიერ შემოთავაზებული კურსების შესახებ იხილეთ ბმულზე:
http://administracja.sgh.waw.pl/en/dpm/international_exchange/incoming_students/exchange/Pages/Courses_at_SGH.aspx

დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგარეო ურთიერთობების სამსახურს
erasmusplus@iliauni.edu.ge

[5] მხოლოდ სტუდენტების შემთხვევაში. პერსონალის შერჩევა განხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.